



მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები შპს „კამარა ენერჯის“ კამარა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

20 სექტემბერი, 2023

1. პროცესთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები

1.1 განცხადება სკოპინგის პროცედურის/ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ არ გამოქვეყნებულა

1.1.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, სააგენტო IX თავით დადგენილი საჯარო ადმინისტრაციული წესით გასცემს სკოპინგის დასკვნას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის, 116-ე მუხლის თანახმად, კი ადმინისტრაციული ორგანო **ვალდებულია** ამ კოდექსით დადგენილი წესით გამოაქვეყნოს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ. ცნობაში უნდა მიეთითოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი. თუ ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა შესაძლებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოშიც – ამ ორგანოს დასახელება და მისამართი;

ბ) განცხადების ან/და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა;

დ) საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

ასევე, 117-ე მუხლის თანახმად, საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) განცხადება და მასზე დართული დოკუმენტები, **აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;**

ბ) დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც ამ განცხადებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში;

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილ წესთან შეუსაბამობის შემთხვევაში გამოიყენება კოდექსით დადგენილი ნორმები, მაგრამ ამ შემთხვევაში შეუსაბამობას არ აქვს ადგილი, ამდენად სზაკ-ის ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის საფუძველი არ არსებობს.

1.1.2 გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის მე-6 მუხლი, ასევე ავალდებულებს გადაწყვეტილების მიღებამდე საჯარო უწყებას, რომ დაინტერესებული საზოგადოება **ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად** იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის **საწყის ეტაპზე** შემდეგი საკითხების თაობაზე:

ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;

ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;

გ) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;

დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით, თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული (მათ შორის I) პროცედურის განხორციელების დაწყება; II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი; და ა.შ.)

1.2. საჯარო განხილვის შესახებ განცხადება არ მოიცავს ბმულს განსახილველ დოკუმენტებზე და არც მითითებას საინფორმაციო პორტალზე.

1.3. ყველას აქვს უფლება დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ დოკუმენტებს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელშიც მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება; თუმცა, მოცემულ შემთხვევაში მოქალაქეები მნიშვნელოვან პრობლემებს წააწყდნენ - მთავარი განსახილველი დოკუმენტები გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნდა „თანმხლები დოკუმენტების“ სახელწოდებით დაარქივებული ფორმით, რამაც მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეუქმნა დაინტერესებულ მოქალაქეებს (არცთუ მაღალი ხარისხის ინტერნეტისა და სმარტფონების მეშვეობით) დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობისათვის. არაერთმა მოქალაქემ მოგვმართა განსახილველი დოკუმენტების მიწოდების თხოვნით.

1.4. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით დაინტერესებული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის არ იყო ინფორმირებული საჯარო განხილვის შესახებ. მაგალითად, სოფელი ყანობის მოსახლეობამ საჯარო განხილვის შესახებ სამოქალაქო აქტივისტების დამსახურებით შეიტყო. ჩვენთვის უცნობია კონკრეტულად სად მოხდა განცხადებების გამოკვრა, მაგრამ ნათელია, რომ ინფორმაციის გავრცელება არ მოხდა ეფექტურად.

1.5. საჯარო განხილვის ადგილი - საჯარო განხილვები ჩატარდა სოფ. გორისციხეში, სოფ. სიონში და დაბა სტეფანწმინდაში. გაურკვეველია როგორ მოხდა საჯარო განხილვისთვის ადგილების შერჩევა და რატომ არ ჩატარდა განხილვა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ დანარჩენ სოფლებში.

2. სკოპინგის ანგარიშის შინაარსთან დაკავშირებული საკითხები

რაც შეეხება სკოპინგის ანგარიში შინაარსობრივ ნაწილს, დოკუმენტი პროექტის 2021 წლის თებერვალში განხილული ვერსიის სკოპინგის ანგარიშის მსგავსად ძალზე დაბალი ხარისხისაა. ამასთან მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ტექნოლოგიურ და ადგილმდებარეობის ნაწილში შევიდა გარკვეული ცვლილებები, კვლევისა და წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი იგივე დარჩა. კვლავ აქტუალურია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2021 წლის 16 მარტის [N2488/01](#) წერილით გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები და მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული [შენიშვნები](#). დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილები უცვლელად გადმოწერილია სხვა ანგარიშებიდან (მაგ. სხვადასხვა კონტექსტში განხილულია მდინარეები: ფარავანი, კორხი და დურუჯი) და არაფერია აქვს საერთო კამარა ჰესთან. საგულისხმოა, რომ იდენტური ტექსტი გამოყენებული იყო 2021 წელს განხილულ ვერსიაში და მწვანე ალტერნატივა მაშინაც უთითებდა ამ შეუსაბამობაზე. დოკუმენტის ავტორებმა არ შეიწუხეს თავი ამ „შეცდომის“ გამოსასწორებლად.

2. 1 საჭიროება და დასაბუთება

სკოპინგის ანგარიშის თავი 2.2 სახელწოდებით „საჭიროება და დასაბუთება“ მოიცავს ხშირად სადავო მოსაზრებებს საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარებისა და გენერაციის ზრდის პერსპექტივისა და არსებული სიტუაციის შესახებ საეჭვო მონაცემებს. მაგალითად **2015-2022** წლებში საქართველოში ელექტროენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების ზრდის სადემონსტრაციოდ მოყვანილი მონაცემების წყაროდ მითითებულია საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის **2018** წლის საქმიანობის ანგარიში. კონკრეტულად პროექტის საჭიროებასა და სარგებელთან კავშირში წარმოდგენილი ინფორმაცია ზოგადი და სპეკულაციურია. მაგალითად: კამარას ჰესის დაგეგმილი მშენებლობა ყოველწლიურად წვლილს შეიტანს ქვეყანაში ენერჯიაზე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებაში, ან შექმნის მნიშვნელოვან დასაქმების არეალს, რაც განავითარებს სამრეწველო და სამშენებლო საქმიანობას რეგიონში, გამოიწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ აღმავლობას რეგიონში, სადაც აღინიშნება სასოფლო-სამეურნეო მიწების და დასაქმების სხვა შესაძლებლობების ნაკლებობა. და ა.შ.

2. 3. პროექტის ალტერნატივები

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია.

ასევე, ჰიდროენერჯეტიკული პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების სახელმძღვანელოს თანახმად, თუ არსებობს ჰესის ტიპის, სიმძლავრის, ადგილმდებარეობის და ა.შ. გონივრული ალტერნატივები, ეს ალტერნატივები განხილული და სათანადოდ დასაბუთებული უნდა იქნეს სკოპინგის ან/და გზმ-ის ანგარიშებში. კერძოდ, მოცემული უნდა იყოს მათი აღწერა, შეფასება და შედარება. კამარა ჰესის სკოპინგის ანგარიშში განხილული ალტერნატივა მანამდე გარემოზე მნიშვნელოვანი შეუქცევადი ზემოქმედების გამო [დაწუნებული](#) პროექტია და არ შეიძლება ის გონივრულ ალტერნატივად განვიხილოთ.

ასევე, უცნაური ფორმით არის წარმოდგენილი ნულოვანი ალტერნატივა - თავის სახელწოდებაა „არაქმედების ალტერნატივა /პროექტის საჭიროების დასაბუთება“ და შესაბამისად, არ მოიცავს საქმიანობის განხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით.

2.3. პროექტის დანაწევრება

სკოპინგის ანგარიში არ განიხილავს პროექტს სრულად. არაფერია ნათქვამი ჰესთან ასოცირებული ინფრასტრუქტურის ზემოქმედების შესახებ (ელექტროგადამცემი ხაზი და მათი ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე, ლანდშაფტზე, ადამიანების ჯანმრთელობასა და საცხოვრებელ პირობებზე).

2.4. სოციალური ზემოქმედება

პროექტს სოციალური ზემოქმედება არ არის განხილული და არც გზშ ეტაპზე იგეგმება, როგორც ჩანს, რაიმე კვლევა. ადგილობრივ მოსახლეობაზე ზეგავლენის შესახებ სხვადასხვა თავებში გაბნეული ჩანაწერები კომენტირებას არ ექვემდებარება. მაგალითად:

თავი 8.1 „ზემოქმედება ადგილობრივ რესურსებზე და მათზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის რისკები“ აღნიშნულია, რომ „ექსპლუატაციის ეტაპზე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მდინარის საპროექტო მონაკვეთში წყლის ხარჯი შემცირდება. შესაბამისად შეიზღუდება მოსახლეობის მიერ წყლის რესურსებით სარგებლობა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სათავე კვანძიდან ძალურ კვანძამდე მონაკვეთში წყალმომხმარებელი ობიექტები (მაგ. წისქვილი, თევზსაშენი და სხვ). არ არსებობს. შესაძლოა შეიზღუდოს მდინარის გამოყენება რეკრეაციული დანიშნულებით, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის რიცხოვნობიდან გამომდინარე ესეთი სახის ზემოქმედებაც არ იქნება მნიშვნელოვანი. ოპერირების ეტაპზე არსებული გზის რეაბილიტაციის შედეგად მოსახლეობას გაუადვილდება საპროექტო ტერიტორიებამდე და ხეობის ზედა მონაკვეთების მიმართულებით გადაადგილება, მათთვის ხელმისაწვდომი გახდება არსებული ტყის რესურსები, რაც სოციალური თვალსაზრისით დადებით ზემოქმედებად უნდა ჩაითვალოს“.

აქვე ზემოაღნიშნულის მოსაგვარებლად მოყვანილია საკითხის გადაწყვეტის გზა: „ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე იწარმოებს საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალი. მოსახლეობის/მეწარმეების უკმაყოფილოების გამორიცხვა მოხდება ქმედითი ურთიერთ კონსულტაციების საფუძველზე. კონსულტაციების შედეგად შესაძლებელია კონფლიქტის მოგვარება შესაბამისი კომპენსაციის გაცემის ან ალტერნატიული რესურსების მოძიებაში დახმარების გაწევის გზით. გარდა ამისა: მოსახლეობას წინასწარ ეცნობება ისეთი გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც დროებით შეზღუდავს ადგილობრივი რესურსების ხელმისაწვდომობას; ისეთი სამუშაოები, რომელიც შეზღუდავს ადგილობრივ რესურსებს და მდ. თერგის ხეობაში გადაადგილებას, ჩატარდება შეძლებისდაგვარად მოკლე დროში“.

2.5 დასაქმება

სკოპინგის ანგარიშის შესავალშივე დასაქმებასთან მიმართებით საკამოდ ამბიციური განაცხადია გაკეთებული. კერძოდ აღნიშნულია, რომ კამარა ჰესის მშენებლობის შედეგად „შეიქმნება მნიშვნელოვანი დასაქმების უბანი, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში სამრეწველო და სამშენებლო საქმიანობის განვითარებას. რეგიონში, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის რაოდენობა და დასაქმების სხვა შესაძლებლობები შეზღუდულია, ასეთი ინვესტიცია გამოიწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ გაუმჯობესებას. დაგეგმილი ობიექტების მშენებლობა შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და სამუშაოს შესაძლებლობებს მიმდებარე არეალში, და ამით გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების და ცხოვრების დონის ამაღლებას“.

რიცხვებში გამოხატული განცხადებები დასაქმებასთან დაკავშირებით ნაკლებად ამბიციურად ჟღერს. ანგარიშის თანახმად, „ექსპლუატაციის დროს დასაქმებული იქნება 14 ადამიანი, მათ შორის 2 ინჟინერ-ელექტრიკოსი, 3 ინჟინერ-მექანიკოსი, 3 ელექტრო-ტექნიკოსი და 6 დამხმარე პერსონალი. მშენებლობის ფაზის დროს მოსალოდნელია 100 -მდე ადამიანის დასაქმება სხვადასხვა ეტაპზე, რაც პერიოდულად შეიცვლება“.

ამასთან არ არის მითითებული დასაქმებულთა შორის რამდენი იქნება ადგილობრივი. ზოგადად დასაქმებასთან და ადგილობრივ სარგებელთან დაკავშირებით მოყვანილი ყველა განაცხადი დიდი ბუნდოვანებით არის მოცული. თავში 8.12. „დასაქმება“ აღნიშნულია: მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო სამუშაოებში ჩართული იქნება **დაახლოებით 100 ადამიანი**, რომელთაგან ადგილობრივი მოსახლეობის წილი **საკმაოდ მაღალი** იქნება. ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმდება 14 ადამიანი. სამუშაოზე აყვანისას **უპირატესობა მიენიჭება** მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლებს. დასაქმებით გამოწვეული დადებითი ზემოქმედება **გარკვეულ წვლილს** შეიტანს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და მიგრაციის შემცირებაში. გარდა ამისა, **გარკვეული გადასახადების** სახით დამატებითი თანხები შევა ადგილობრივ ბიუჯეტში, რომლის **დიდი ნაწილი** რეგიონის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მოხმარდება.

მსგავსი პროექტების დასაქმების თვალსაზრით სიკეთეებზე მსჯელობისას უპირანი იქნება, სააგენტომ იხელმძღვანელოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-17 მუხლით და გამოიკვლიოს, რამდენი ადამიანის ცხოვრების დონე ამაღლა წინა წლებში განხორციელებულმა სამი ჰესის პროექტმა მუნიციპალიტეტში.

2.6. დოკუმენტში ჰიდროლოგიური პირობების აღწერისას ნახსენებია გარკვეული სტიქიური მოვლენები „1953 წლის 17 აგვისტოს და 2017 წლის 6 აგვისტოს ღვარცოფულმა ნაკადებმა, რომლებმაც გამოიარეს მდინარე თერგის შენაკადები გადაკეტეს მდინარის კალაპოტი და მისი გარღვევის შემდეგ გამოიწვიეს დიდი მატერიალური ზარალი ყაზბეგის რაიონში“. გაუგებარია, რომელ მდინარეზე მოხდა, რა მოვლენას ქონდა ადგილი, რატომ არ არის ამ პერიოდში მომხდარ ორზე მეტ ბუნებრივ კატასტროფებზე საუბარი და განხილული მათი გამომწვევი მიზეზები და ა.შ.

2.7 წყლის ხარჯი - დოკუმენტი ეყრდნობა სრულიად მოძველებულ ჰიდროლოგიურ მონაცემებს, რომლებიც სავსებით არასაკმარის პერიოდში მოიცავს ამავედროულად 1981-1990 წლებს. წყლის ხარჯი კამარა ჰესზე სწორედ ამ მონაცემებით არის გამოთვლილი „ყაზბეგის სადგურის თვიური ჩამონადენი გამოყენებული იქნა კამარა ჰესის ხარჯის გამოსაანგარიშებლად. კამარას ჰესზე ჩამონადენის ხარჯის ოდენობა 1982-1990 წლების პერიოდში მიღებული იქნა ყაზბეგის თვიური ჩამონადენიდან ფართობების ფარდობის მეთოდით (432/778)“. ამ საეჭვო მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრულია, რომ კამარა ჰესის საშუალო გაანგარიშებული ჩამონადენი (ხარჯი) არის 13.73 მ3/წმ, რაც მოცემულია ცხრილი 4 2-ში. სანიტარული ჩამონადენის ნაკადი არის 1.53 მ3/წმ. „სანიტარული ჩამონადენის ნაკადს (რომელიც უდრის წყალშემკრები აუზის ნაწილში მდინარის საშუალო მრავალწლიანი ჩამონადენის 10 პროცენტს)“ დოკუმენტის ზოგ ადგილად რატომღაც უწოდებენ „ეკოლოგიურ ნაკადს“.

თავში 4.5.3 მდ.თერგის ეკოლოგიური ნაკადის შეფასების მეთოდი და გეგმა - ჯერ ნათქვამია, რომ ეკოლოგიური ხარჯის საორიენტაციო სიდიდე (1,53 მ3/წმ) შეადგენს საშუალო მრავალწლიური ხარჯის 11%-ს. იმავე აბზაცში კი აღნიშნულია, „ეკოლოგიური ხარჯის საორიენტაციო მაჩვენებელი კორექტირებული იქნება კომპლექსური კვლევის საფუძველზე. ამჟამად გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული არის „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო. გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში გარემოსდაცვითი ხარჯი შეფასებული იქნება დეტალური პროექტის და დამატებითი კვლევების საფუძველზე. სკოპინგის ეტაპზე შეიქმნა სხვადასხვა დარგის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი, რომელთა ამოცანა იქნება კომპლექსური კვლევების ჩატარება და ეკოლოგიური ხარჯის დასაბუთება“.

2.8. სკოპინგის ანგარიშის ავტორებს ჰგონიათ, რომ „მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების 35 ცხელ წერტილი არსებობს“. ამის შესახებ წინა პროექტის სკოპინგის ანგარიშის შენიშვნებშიც ვწერდით, თუმცა, როგორც ჩანს ავტორები დარწმუნებულნი არიან თავიანთ ცოდნაში.

2.9. ასევე აქტუალურია ჩვენი წინა პროექტის მიმართ გამოთქმული შენიშვნა: პროექტში მოცემულია თავი „5.1.1 დაცული ტერიტორია - ყაზბეგის ეროვნული პარკი“, სადაც საერთოდ არაფერი არ წერია სწორად ამ დაცული ტერიტორიის შესახებ. ავტორებს სხვა გზმ ანგარიშებიდან გადმოწერილი აქვთ ძველი მონაცემები, რომლის მიხედვითაც ეროვნული პარკის საერთო ფართობია 8707 ჰექტარი. ავტორებმა არ იციან, რომ ყაზბეგის ეროვნული პარკის ფართობი წლების წინ გაიზარდა. საერთოდ არ იციან „თრუსოს დაცული ლანდშაფტის“ და რამდენიმე ბუნების ძეგლის არსებობის შესახებ.

ამ სახით მოცემული ტექსტი არ შეიძლება ჩაითვალოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ.ა.“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესრულებად.

2.10. დოკუმენტის თანახმად, ფლორისტული და ზოოლოგიური კვლევები ჩატარდა 2020 წლის ოქტომბერში. ანუ ამჟამად დაწუნებული პროექტისთვის ჩატარებული უკიდურესად დაბალი ხარისხის კვლევები ამჯერად ახლი პროექტისთვის იქნა გამოყენებული.

2.11. დოკუმენტში ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული უბანი „ყაზბეგი GE0000009“ კვლავ მოხსენიებულია, როგორც კანდიდატი უბანი. ასევე, არასწორი მონაცემია მოცემული, როდესაც აღნიშნულია, რომ „საქართველოში „ზურმუხტის ქსელის“ 58 საიტი არსებობს, რომელთაც მთელი ქვეყნის ტერიტორიის 18% უკავია“.

პროექტის მიხედვით, GE0000009 ყაზბეგი საიტი მდებარეობს „კამარა“ ჰესის სამშენებლო დერეფნის მოსაზღვრე ტერიტორიაზე. ეს კი ნიშნავს, რომ კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ე.წ. შესაბამისობის შეფასება“ (Appropriate Assessment, AA), სადაც განხილული იქნება პროექტის ზეგავლენა „ზურმუხტის საიტებზე“. ასეთი შეფასება სავალდებულოა, მიუხედავად იმისა, უშუალოდ იჭრება თუ არა პროექტი ზურმუხტის უბნის საზღვრებში (იხ. ევროკომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტი European Commission, 2018. Guidance on The requirements for hydropower in relation to Natura 2000). „შესაბამისი შეფასება“ უნდა მომზადდეს ადრეულ ეტაპზე საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

გასათვალისწინებელია, რომ ბერნის კონვენციამ დაავალა საქართველოს, რომ დაუყოვნებლივ მოამზადოს მდინარეების დაცვის ეროვნული სტრატეგია, სწორედ ჰაბიტატებისა და სახეობების ჰესების მშენებლობებისგან დაცვის მიზნით.

მთლიანად შეცდომითაა მოცემული ინფორმაცია ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატების შესახებ, ვინაიდან ავტორები ხელმძღვანელობენ ჰაბიტატების კლასიფიკაციის ძველი სქემით (CORINE biotope classification). ეს სისტემა აღარ გამოიყენება 2014 წლიდან და შეიცვალა EUNIS კლასიფიკაციით.

2.12. თავში „5.3.2. საკვლევ ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო კონვენციებით დაცული სახეობები“ მოცემულია სკოლის სახელმძღვანელოს დონის ინფორმაცია სახეობებზე და არანაირი კავშირი არ აქვს ამ პროექტის ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის შეფასებასთან.

2.13. ინფორმაცია, რომელიც შეეხება SPA-ს (სპეციალური დაცული ტერიტორია ფრინველთათვის), რომელიც ემთხვევა IBA-ს (ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი) ფართობების შეფარდებას დაცულ ტერიტორიებთან არასწორია, ვინაიდან პროექტის ავტორებმა არ იციან დაცული ტერიტორიების რეალური ფართობი და მოძველებულ მონაცემებს ეყრდნობიან. ტექსტის ეს ნაწილიც, სავარაუდოდ, მექანიკურადაა გადაწერილი სხვა დოკუმენტებიდან.

2.14. სრულიად აბსურდული ინფორმაციაა მოცემული იქთიოფაუნისა და მასზე პროექტის ზემოქმედების შესახებ. გვ. 80-ზე აღნიშნულია, რომ „საპროექტო კაშხლის გასწორში გვხვდება მხოლოდ ნაკადულის კალმახი, რომელიც 2000 – 2500 მეტრის სიმაღლეებზე ქმნის „მთის ფორმის“

კალმანის პოპულაციას. თეზის ამ სახეობას მიგრაციის პროცესი არ ახასიათებს და ბინადრობს მხოლოდ ლოკალურ გეოგრაფიულ არეალში, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (შესაძლებელია დარიალის ხეობის რუსეთის ფედერაციის საზღვრებში არსებულ მონაკვეთზე)“. თუმცა, ცოტა ქვემოთ, 92-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „თერგის კალმანი პოლიმორფული სახეობაა, ის წარმოქმნის გამსვლელ - ანადრომულ, ტბიურ-ლაკუსტრინულ და მკვიდრ-რეზიდენტულ პოპულაციებს. ანადრომული პოპულაციის ინდივიდების ზომა 130 სმ-ს აღწევს, წონა 9 კგ-ს, რეზიდენტული და ტბიური პოპულაციების ინდივიდების სიგრძე ძირითადად 35 სმ-მდეა“. რის საფუძველზე დაასკვნეს, რომ კაშხლის გასწორში მობინადრე ფორმა არ არის ანადრომული სახეობა, გაუგებარია. გამოყენებული ლიტერატურა არ არის მოხსენიებული და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მტკიცება არანაირ კვლევას არ ეყრდნობა. საქმიანობის შემოქმედების აღწერის და შემარბილებელი ღონისძიებების ნაწილში ორჯერ არის ნახსენები, რომ შემოქმედების ქვეშ იქნება „მდინარეების ფარავნის და კორხის იქთიოფაუნა“ (გვ. 92 და გვ. 111). ეს ნიშნავს, რომ დოკუმენტი უბრალოდ კოპირებულია სხვა ანალოგიურიდან, რომელიც სამცხე-ჯავახეთს ეხებოდა და არანაირი კვლევა არ არის „კამარა ჰესის“ ზეგავლენასთან დაკავშირებით ჩატარებული.

2.15. დოკუმენტში საერთოდ არ არის განხილული ვიზუალურ ლანდშაფტური შემოქმედება ჰესის ექსპლუატაციის დროს, ანუ გარემოს/ლანდშაფტის ვიზუალური დაბინძურება, რომელიც გამოწვეული იქნება ჰესის სტრუქტურებით, გადამცემი ხაზებით და ბოძებით, ასევე მდინარის დაშრეტივით. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემოქმედება, რაც მთლიანად ცვლის პეიზაჟს და აუფასურებს ტურისტულ ღირებულებას. ავტორები ვიზუალურ-ლანდშაფტურ შემოქმედებად განიხილავენ მხოლოდ მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოების დროს შეცვლილ გარემოს და მიაჩნიათ, რომ პრობლემა აღმოიფხვრება მშენებლობის დასრულების შემდეგ სამშენებლო ბანაკისა და სამშენებლო მანქანა-დანადგარების, მასალის და ნარჩენების გატანით, ასევე, სარეკულტივაციო-გამწვანებითი სამუშაოების ჩატარებით.

ნათელია, რომ ვიზუალურ-ლანდშაფტური დაბინძურების ხასიათი და მოცულობა მიუღებელია, გარემოზე შემოქმედების რისკის პრევენცია შეუძლებელია და გარემოზე შემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება შეუძლებელია, შესაბამისად, სააგენტო ვალდებულია ამ ეტაპზე უარი თქვას საქმიანობის განხორციელებაზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

2.16. საფუძველს არის მოკლებული დოკუმენტში მოცემული მტკიცება პროექტის ეკონომიკური და ენერგეტიკული სარგებლიანობის შესახებ. არ არის მოცემული, რომელ თვეებში გამოიმუშავებს ელექტროენერგიას მნიშვნელოვანი რაოდენობით. როგორც ყველა ანალოგიური ჰესი, ის გამოიმუშავებს ელექტროენერგიას წლის იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს ისედაც ჭარბად აქვს საკუთარი გამოიმუშავებული იაფი ენერგია. ხოლო შეწონილ ტარიფში შემოთავაზებული ძვირი ფასის დამატება უცილობლად გამოიწვევს ელექტროენერგიაზე ტარიფის ზრდას.

2.17 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო განხილვებზე არერთხელ გაისმა სპეკულაციური განცხადებები იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია კამარა ჰესიდან ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის უფასოდ მიწოდება. გაუგებარია, როგორ გეგმავს პროექტის განმახორციელებელი ერთიან ენერგოსისტემის გვერდის ავლით აღნიშნულის განხორციელებას.

2.18. ამჯერადაც იმედს გამოვთქვამთ, რომ სააგენტო უარყოფით დასკვნას გასცემს ამ დოკუმენტზე მისი უხარისხობის და კანონმდებლობასთან შეუთავსებლობის, ასევე წარმოდგენილი საქმიანობის ხასიათისა და მოცულობის მიუღებლობის, გარემოზე შემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობის გამო. აღნიშნულში კიდევ ერთხელ დარწმუნებისათვის, სააგენტო ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-17 მუხლის თანახმად, განახორციელოს

ანალოგიური პროექტების - ლარსი-ჰესისა და ყაზბეგი-ჰესის საქმიანობის შემდგომი ანალიზი და შედეგებით იხელმძღვანელოს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მითუმეტეს ცნობილია, რომ „კამარა ჰესის“ სკოპინგის ანგარიშის ავტორები - მარიამ ქიმერიძე და მედგარ ჭელიძე - აქტიურად უჭერდნენ მხარს „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობას და საქმის წარმოების პროცესში წარმოადგინეს დასკვნები, სადაც ამტკიცებდნენ, რომ ჰესი არანაირ უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს ბიომრავალფეროვნებაზე/გარემოზე. თუმცა, შედეგი სრულიად საპირისპიროა, რაზეც ნათლად მიუთითებს ეს ფოტო სურათი :



ფოტო: მდინარე ხდის ხეობა ყაზბეგი-ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ.